

რელიგიური  
ორგანიზაციების  
და



სასულიერო პირების

წინასაარჩევნო აბიტაციაში მონაწილეობის  
მონიტორინგი

შუალედური  
ანგარიში



დემოკრატიის  
კვლევის  
ინსტიტუტი (DRI)

2021

1	შესავალი
2	მეთოდოლოგიური ჩარჩო
3	1. სამართლებრივი ჩარჩო
4	2. სასულიერო პირები და წინასწარჩევნო კამპანია
5	2.1. ღვთისმსახურები საქრებულოს და მერიის კანდიდატების წარდგინებზე
5	„ქართული ოცნება“
8	„გახარია - საქართველოსთვის“
8	2.2. რელიგიით, რელიგიური ორგანიზაციებითა და სასულიერო პირებით მანიპულაცია
8	„ქართული ოცნება“
11	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
12	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
13	„ლელო საქართველოსთვის“
13	2.3. საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერი/ საწინააღმდეგო განცხადებები
14	ზოღბელი ევისკოვოსი იაკობი
16	დეკანოზი ელიოზ ჯინჭარაძე
16	დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე
17	ვანისა და ხაღდათის მიტროპოლიტი ანტონი
18	არქიმანდრიტი ხართლოძე ფირსხალაშვილი
19	მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი
19	3. სასულიერო პირებზე ფარული მიყურადების ჩანაწერების გავრცელება, რომორც წინასწარჩევნო მანიპულაცია
21	4. მონიტორინგის ძირითადი მიზნებები

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შუალედურ შედეგს. დოკუმენტში თავმოყრილი და გაანალიზებულია წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების მიერ რელიგიური თემებით მანიპულირების ფაქტები, ასევე, სასულიერო პირების და რელიგიური ორგანიზაციების პოლიტიკური შინაარსის განცხადებები და ქმედებები, რასაც შესაძლოა, გავლენა მოეხდინა ამომრჩეველთა თავისუფალ ნებაზე. ანგარიშში ასახულია 2021 წლის 1 აგვისტოდან 2021 წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში მომხდარი ფაქტები და განვითარებული მოვლენები.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა თავისუფალი წინასაარჩევნო გარემოს მხარდაჭერა, პოლიტიკური სუბიექტების მიერ რელიგიით მანიპულაციის, სასულიერო პირებისა და რელიგიური ორგანიზაციების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ფაქტების იდენტიფიცირების, მათი ანალიზის, არსებული რისკების გამოვლენისა და გასაჯაროების გზით.

მონიტორინგის განხორციელებისას ჩვენი დაკვირვების ობიექტები იყვნენ, როგორც წმინდა სინოდის<sup>1</sup> წევრები (წოდებიდან და გავლენებიდან გამომდინარე), ასევე, საარჩევნო სუბიექტები (მეინსტრიმული პოლიტიკური პარტიები: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „გახარია საქართველოსთვის“, „ევროპული საქართველო“). გარდა ამისა, ჩვენი დაკვირვების არეალში მოხვდნენ ის სასულიერო პირებიც, რომლებიც საზოგადოების ნაწილში ავტორიტეტით სარგებლობენ და შესაბამისად, ამომრჩევლის განწყობაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

დოკუმენტის პირველ თავში გაანალიზებულია საარჩევნო კანონმდებლობა, განხილულია საქართველოს კონსტიტუციის, კონკორდატისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისი ნორმები; ასევე, წმინდა სინოდის 2012 წლის 5 ივლისის განჩინება სასულიერო პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ანგარიშის მეორე თავი წარმოადგენს ძირითად ნაწილს და მიმოიხილავს მონიტორინგის შედეგებს. კერძოდ, მასში მოცემული და გაანალიზებულია წინასაარჩევნო კამპანიის დროს სასულიერო პირების აგიტაციის ფაქტები - აქტიური მოწოდებები თუ გარკვეული ქმედებები, რასაც, შეეძლო გავლენა მოეხდინა ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე და შესაბამისად, არჩევნების შედეგზე. ცალკე ქვეთავშია თავმოყრილი საარჩევნო სუბიექტების მიერ რელიგიით მანიპულაციისა და მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ავტორიტეტის შესაძლო გამოყენების ფაქტები.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე გასაჯაროებულმა, სავარაუდოდ, უკანონოდ მოპოვებულმა ფარულმა ჩანაწერებმა მნიშვნელოვნად შეცვალა როგორც წინასაარჩევნო გარემო, ისე, უშუალოდ სასულიერო პირთა რიტორიკა. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით ეკლესიის წარმომადგენლების პოზიციას ცალკე თავი ეთმობა, სადაც მოცემული და გაანალიზებულია კონკრეტული ფაქტები.

<sup>1</sup> საარჩევნო კოდექსი წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციებს უკრძალავს (მუხლი 45.4(ზ)). თავის მხრივ, რელიგიურ ორგანიზაციას წარმოადგენს ეკლესია, რომელსაც ასევე სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს წმინდა სინოდი.

## მეთოდოლოგიური ჩარჩო

სასულიერო პირების და რელიგიური ინსტიტუტების მხრიდან სოციალური მედით მანიპულირება დღემდე განხილვის საგანია. ეს უკანასკნელი ნაკლებ აქტუალური და საინტერესო იქნებოდა, რომ არა საზოგადოებაში არსებული ნდობის ხარისხი რელიგიური ინსტიტუტების მიმართ. კავკასიის ბარომეტრის (CRRC) მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევის თანახმად, საქართველოში მოსახლეობის 40% - სრულად ენდობა რელიგიურ ინსტიტუტებს, ხოლო ძირითადად ენდობა - 43%.<sup>2</sup> სოციალური ზეგავლენა, რომელსაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ახდენს სხვათა ქცევებზე, რწმენებსა და გრძნობებზე, საბოლოოდ მნიშვნელოვნად მოქმედებს ამომრჩეველთა განწყობებზე. სოციალურ მედიაში მომხმარებლის მიერ შექმნილი ვიდეოები, სურათები, რეაქციები და ტექსტი თვისებრივი კვლევის მონაცემების მდიდარი წყაროა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა წინასაარჩევნო გარემოს დაკვირვების მიზნით, მონიტორინგი გაუწია სასულიერო პირების და პოლიტიკური სუბიექტების ფეისბუქ-გვერდებს/საიტებს და ონლაინ მედია საშუალებებს. ჩვენი დაკვირვების სამიზნე იყვნენ, როგორც სასულიერო პირები და რელიგიური ორგანიზაციები, ასევე წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული საარჩევნო სუბიექტებიც. კვლევა ფოკუსირდა სასულიერო პირების მიერ გაკეთებულ პოლიტიკური შინაარსის განცხადებებზე და ასევე, საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების მხარდაჭერის ფაქტებზე. მონიტორინგის არეალში რელიგიური ორგანიზაციების, სასულიერო პირებისა და პოლიტიკური სუბიექტების მხოლოდ ის აქტივობები მოხვდა, რომელიც სოციალური ქსელის და ონლაინ მედია საშუალებით გაშუქდა.

მონიტორინგისას შეფასდა:

- ჰქონდა თუ არა პოლიტიკური შინაარსი სასულიერო პირების განცხადებებს
- სასულიერო პირების წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობა
- სასულიერო პირთა მხრიდან ამომრჩეველთა ნების ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა
- პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება სასულიერო პირების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე.

<sup>2</sup> კავკასიის ბარომეტრი 2020 საქართველო, ნდობა - თქვენი რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს, <https://caucasusbarometer.org/ge/cb2020ge/TRURELI/>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

## 1. სამართლებრივი ჩარჩო

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, საქართველო სეკულარული სახელმწიფოა. კონსტიტუცია იცავს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას და ხაზს უსვამს ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან (სეკულარიზმის პრინციპი).<sup>3</sup> კონსტიტუციური შეთანხმება მიუთითებს სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობაზე ურთიერთ დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით.<sup>4</sup>

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერი რელიგიური გაერთიანება შესაძლოა დარეგისტრირდეს ან არსებობდეს არარეგისტრირებული კავშირის ფორმით.<sup>5</sup> თუმცა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად შესაძლოა დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.<sup>6</sup>

საქართველოს საარჩევნო კოდექსი რელიგიურ ორგანიზაციებს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას ან/და აგიტაციაში მონაწილეობას უკრძალავს.<sup>7</sup> აგიტაციის წესების დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმა 2 000 ლარს შეადგენს.<sup>8</sup> სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ ცესკოს თავმჯდომარე, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები.<sup>9</sup>

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელსაც სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს „საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით).“<sup>10</sup>

ფორმალური თვალსაზრისით, კონკრეტული სასულიერო პირის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა არ არის აკრძალული, თუმცა, აღნიშნული საკითხი უნდა გაანალიზდეს სიღრმისეულად. ამ პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი სამი გარემოება: 1) სუბიექტი - შესაძლოა პირს ფორმალურად არ ჰქონდეს მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილება, მაგრამ მისი პიროვნებისა და სტატუსის გათვალისწინებით, ობიექტური და დამოუკიდებელი პირის (ამომრჩევლის) აღქმით, მოქმედებდეს როგორც რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი; 2) შინაარსი - პირველ რიგში, სახეზე უნდა იყოს მოწოდება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის ან სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ ან საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას. ამ ფარგლებს სცდება აგიტაცია, რომელიც ფორმალურად ან ფაქტობრივად ხორციელდება რელიგიური ორგანიზაციის სახელით; 3) ვითარება - იმის გასამიჯნად, პირი ინდივიდუალურად მოქმედებს, თუ რელიგიური ორგანიზაციის სახელით, შესაფასებელია ის ვითარება, რა

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 8.

<sup>4</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1509.<sup>1</sup>

<sup>7</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45.4(ზ).

<sup>8</sup> იქვე. მუხლი 79.

<sup>9</sup> იქვე. მუხლი 93, პუნქტი 1.

<sup>10</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

ვითარებაშიც ხორციელდება აგიტაცია. მაგალითად, 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მაღალი იერარქიის სასულიერო პირები უშუალოდ ქადაგების დროს ეწეოდნენ აგიტაციას.<sup>11</sup>

### სინოდის განჩინება

სინოდი ეკლესიის უმაღლესი სათათბირო ორგანოა, რომლის შეკრების გადაწყვეტილებასაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ან მისი თანამოსაყდრე წევვტს. სინოდის კომპეტენციაში შედის კონკრეტული განჩინებების მიღება.

2012 წლის 5 ივლისს წმინდა სინოდმა მიიღო განჩინება სასულიერო პირების წინასაარჩევნო კამპანიაში და, ზოგადად, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევასთან დაკავშირებით. განჩინების მიხედვით, ეკლესია წარმოადგენს ქვეყნის გამაერთიანებელ, ნეიტრალურ ძალას და განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში „კატეგორიულად მიუღებელია“ ღვთისმსახურთა მონაწილეობა რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში.<sup>12</sup>

## 2. სასულიერო პირები და წინასაარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო აგიტაცია გულისხმობს ამომრჩეველთა მოწოდებას საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერ საჯარო მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს.<sup>13</sup>

მიუხედავად სინოდის 2012 წლის 5 ივლისის განჩინებისა, წინასაარჩევნო კამპანიაში ღვთისმსახურების გარკვეული ფორმით მონაწილეობა უცხო არაა. მღვდელმთავრები აქტიურობით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც გამოირჩეოდნენ.

დამკვიდრებული პრაქტიკა არც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიის დროს დარღვეულა. საანგარიშო პერიოდში ღვთისმსახურები პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ღონისძიებებს თორმეტ შემთხვევაში დაესწრნენ და არაერთი განცხადება გააკეთეს კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის თუ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.

ღვთისმსახურები პოლიტიკური შინაარსის განცხადებებით იმ ფარული ჩანაწერების გასაჯაროებასაც გამოეხმაურნენ, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, სავარაუდოდ, უკანონოდ მოიპოვა.

მიმდინარე მონიტორინგისას, ჩვენი დაკვირვების ქვეშ მოხვდა საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის სასულიერო პირებისა და რელიგიური ორგანიზაციების ავტორიტეტისა და გავლენების გამოყენების არაერთი ფაქტი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მმართველი პოლიტიკური გუნდი. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თანაგუნდელებთან ერთად ათი ეკლესია-

<sup>11</sup> დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „რელიგიური ორგანიზაციებისა და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მონიტორინგის ანგარიში, 2020,“ ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/>

<sup>12</sup> სვეტიცხოველი, სამეცნიერო ისტორიული ჟურნალი, [https://gtu.ge/Library/Pdf/sveticxoveli\\_2\\_2012.pdf?fbclid=IwAR2IZ9Y6kX3R1QT0tLRCbXABG9NsOHkcACWISF9uwtPT2br-k5J5m3TRYCI](https://gtu.ge/Library/Pdf/sveticxoveli_2_2012.pdf?fbclid=IwAR2IZ9Y6kX3R1QT0tLRCbXABG9NsOHkcACWISF9uwtPT2br-k5J5m3TRYCI), გვ.11, 2012

<sup>13</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 2, 3<sup>1</sup>

მონასტერი „მოილოცა“<sup>14</sup> და არაერთხელ შეხვდა მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს. პრემიერ-მინისტრის მიერ (ძირითადად ფონდი „ქართუს“ მიერ დაფინანსებული ან რესტავრაციის პროცესში მყოფი) ეკლესია-მონასტრების „მოლოცვა“ ახალი ტენდენციას, რაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიის პროცესში არ დაფიქსირებულა.

კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი, რაც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან გამოარჩევს, ღვთისმსახურების შეცვლილი და ხისტი რიტორიკაა. თუ საპარლამენტო არჩევნების დროს, სასულიერო პირები მიუთითებდნენ, რომ საუბრობდნენ, როგორც სამოქალაქო პირები,<sup>15</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღემდე, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ანდრია ჯალმაიძე დაუფარავად აცხადებდა, რომ შეუძლიათ პირდაპირ მოუწოდონ მრევლს, როგორ მოიქცნენ არჩევნებზე.<sup>16</sup> მსგავსი მოწოდება საზოგადოების ნაწილზე საკუთარი ძალაუფლებით და ავტორიტეტით მანიპულირების და ზოგადად, ნების ავტონომიის უგულვებელყოფის მცდელობას წარმოადგენს, რასაც, შესაძლოა, კონსტიტუციით გარანტირებული უფლების (არჩევანის თავისუფლება) შეზღუდვა მოჰყვეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურობდნენ ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი, დეკანოზი ელიოზ ჯინჭარაძე, დეკანოზი ანდრია ჯალმაიძე, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი, მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი.

## 2.1. ღვთისმსახურები საკრებულოს და მერიის კანდიდატების წარდგინებაზე

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი დააკვირდა მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა დასწრებებს საარჩევნო სუბიექტების წარდგენის პროცესში. სასულიერო პირები მერობის კანდიდატების წარდგენას დაესწრნენ ორი პოლიტიკური პარტიის - „ქართული ოცნების“ და „გახარია-საქართველოსთვის“ შემთხვევაში.

### „ქართული ოცნება“

11 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით სასულიერო პირები ესწრებოდნენ „ქართული ოცნების“ მიერ კანდიდატების წარდგენის ყველა საზეიმო ღონისძიებას სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. წარდგენებზე სასულიერო პირების დასწრების შესახებ ფოტოები ირაკლი ღარიბაშვილის და საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე ვრცელდებოდა. 13 სექტემბერს სუს-ის მიერ სასულიერო პირების ფარული მოსმენების შესახებ მასალების გავრცელებამ მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა წინასაარჩევნო გარემოში. რთული შესაფასებელია, იქონიებდა თუ არა ეს გავლენას სასულიერო პირების „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე, ვინაიდან მმართველმა პარტიამ მერობის კანდიდატების წარდგენა 14 სექტემბერს დაასრულა. წარდგენას ტრადიციულად სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ.

<sup>14</sup> ამ ტერმინს იყენებს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი.

<sup>15</sup> ტაბულა, „მეუფე ანტონი: როდესაც ოპოზიცია მოვა პოზიციაში, ჩვენ ასევე ვიქნებით მასთან“, 21.09.2020, ხელმისაწვდომია <https://tabula.ge/ge/news/653533-meupe-antoni-rodesats-opozitsia-mova-pozitsiashi>

<sup>16</sup> შაბათის ფორმულა, (ფეისბუქ-გვერდი) <https://www.facebook.com/watch/?v=352333906620925&ref=sharing>

- 11 აგვისტო. „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატების წარდგენა წალკის, თეთრიწყაროსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში<sup>17</sup>



„ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენა წალკაში

- 13 აგვისტო. მერობის კანდიდატების წარდგენა ლაგოდეხში, ყვარელში, ახმეტასა და თელავში<sup>18</sup>



„ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენა ლაგოდეხში

- 14 აგვისტო. გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მერობის კანდიდატების წარდგენა<sup>19</sup>
- 26 აგვისტო. მერობის კანდიდატების წარდგენა სამეგრელოში<sup>20</sup>
- 4 სექტემბერი. მერობის კანდიდატების წარდგენა იმერეთში<sup>21</sup>

<sup>17</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 11.08.2021

ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/photo/?fbid=391230369028417&set=pcb.391212899030164>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>18</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 13.08.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/posts/392732122211575>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>19</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 14.08.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/posts/393261445491976>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>20</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 26.08.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/posts/401015014716619>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>21</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 4.09.2021, <https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/posts/407354534082667>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

- 5 სექტემბერი. მერობის კანდიდატების წარდგენა რაჭაში<sup>22</sup>
- 10 სექტემბერი. მერობის კანდიდატების წარდგენა მცხეთა-მთიანეთში<sup>23</sup>
- 11 სექტემბერი. მერობის კანდიდატების წარდგენა სამცხე-ჯავახეთში<sup>24</sup> - ბორჯომში, ადიგენსა და ახალციხეში<sup>25</sup>
- 12 სექტემბერი. ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მერობის კანდიდატების წარდგენა ვარძიაში. სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ ვარძიის რეაბილიტაცია სრულად დააფინანსა ფონდმა „ქართუმ“ და ბიძინა ივანიშვილმა, და რომ ეს პროცესი გრძელდება<sup>26</sup>
- 14 სექტემბერი. მერობის კანდიდატების წარდგენა შიდა ქართლში. წარდგენის ცერემონია გორში, გორის საკათედრო ტაძრის ეზოში გაიმართა, სადაც გორის, ქარელის, კასპისა და ხაშურის მერობის კანდიდატები დასახელდა<sup>27</sup>



„ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენა შიდა ქართლში

<sup>22</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 5.09.2021, <https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/posts/407963967355057>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>23</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 10.09.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/photo/?fbid=411621800322607&set=pcb.411624166989037>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>24</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 11.09.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/posts/412256830259104>.

<sup>25</sup> სამხრეთის კარიბჭე/Sknews.ge ხელმისაწვდომია [https://sknews.ge/ka/news/33724?fbclid=IwAR1j9ALOb7WLy8NbW-TSmlqmbH\\_GDMdnqxZvdJHuKg-kz6k8BJ8kOdjjdSA](https://sknews.ge/ka/news/33724?fbclid=IwAR1j9ALOb7WLy8NbW-TSmlqmbH_GDMdnqxZvdJHuKg-kz6k8BJ8kOdjjdSA), 11.09.2021.

<sup>26</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/posts/412838510200936>, 12.09.2021.

<sup>27</sup> ირაკლი ღარიბაშვილის ფეისბუქ გვერდი, გამოქვეყნების თარიღი: 14.09.2021. <https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/posts/414336096717844>, [ბოლოს ნანახია: 21.09.2021].

## „გახარია - საქართველოსთვის“

წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ სასულიერო პირები და რელიგიური თემატიკა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას წინასაარჩევნო კამპანიაშიც ფიგურირებდა. დაიწყო იმითი, რომ პარტიამ „გახარია - საქართველოსთვის“ კანდიდატები მეტეხის ღვთისმშობლის შობის ტაძარის ეზოში წარადგინა.<sup>28</sup> ასევე, სასულიერო პირები ესწრებოდნენ მის შეხვედრებს ამომრჩევლებთან.

- 9 სექტემბერი. შეხვედრა სოფელ ღების ამომრჩევლებთან<sup>29</sup>
- 9 სექტემბერი. მერობის კანდიდატების წარდგენა ონში და ამბროლაურში<sup>30</sup>



გიორგი გახარია ონში

## 2.2. რელიგიით, რელიგიური ორგანიზაციებითა და სასულიერო პირებით მანიპულაცია

### „ქართული ოცნება“

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის დღიდან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მმართველი პარტიის წევრების ვიზიტები ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებსა და სამლოცველოებში. არჩევნების დანიშვნის დღიდან, ირაკლი ღარიბაშვილმა თანაპარტიელებთან ერთად ძირითადად ის ეკლესია-მონასტრები მოინახულა, რომელთა მშენებლობა-რეაბილიტაცია ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა.

მედია სივრცეში ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ეკლესია-მონასტრების მონახულების 10 შემთხვევა გაშუქდა:

<sup>28</sup> გიორგი გახარია ფეისბუქ გვერდი, <https://www.facebook.com/GakhariaGiorgi/videos/534583597650556>, 1.09.2021, [ბოლოს ნანახია: 11.10.2021].

<sup>29</sup> გიორგი გახარია ფეისბუქ გვერდი, <https://www.facebook.com/GakhariaGiorgi/posts/384838783099548>, 9.09.2021.

<sup>30</sup> გიორგი გახარია ფეისბუქ გვერდი, <https://www.facebook.com/GakhariaGiorgi/posts/384770133106413>, 9.09.2021.

- 19 აგვისტო. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოზურგეთის წმინდა ნიკოლოზის ტაძარს ეწვია და შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსებს ფერისცვალება მიულოცა. ტაძარში პრემიერ-მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე და სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე.<sup>31</sup>
- 26 აგვისტო. პრემიერ-მინისტრი გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი გუგუჩიასთან და სასულიერო პირებთან ერთად ჩხოროწყეში იმყოფებოდა და წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მშენებარე ტაძარი მოინახულა.<sup>32</sup>
- 27 აგვისტო. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძესთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ნათია თურნავასთან, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი ხახუბიასთან და ადგილობრივ სასულიერო პირებთან ერთად, ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლი და წმინდა ლაზარეს ადდგინების სახელობის სამონასტრო კომპლექსი დაათვალიერა.<sup>33</sup>
- 27 აგვისტო. პრემიერ-მინისტრი ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლ ბერბიჭაშვილს ეწვია.<sup>34</sup>
- 1 სექტემბერი. პრემიერ-მინისტრი ხონისა და სამტრედიის ეპარქიის სამღვდელმთავრო რეზიდენციაში, სამტრედიის დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში.<sup>35</sup>
- 1 სექტემბერი. მთავრობის მეთაურმა ვანის საკათედრო ტაძარი, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტ ანტონთან ერთად „მოილოცა“.<sup>36</sup>



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანის საკათედრო ტაძარს სტუმრობდა

31 საქართველოს მთავრობა, 19.08.2021 <https://fb.watch/8hWAbR4P09/>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].  
 32 საქართველოს მთავრობა, 26.08.2021 <https://fb.watch/8hW-d1UbQd/>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].  
 33 საქართველოს მთავრობა, 27.08.2021 <https://fb.watch/8hXevdBSt/>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].  
 34 საქართველოს მთავრობა, 27.08.2021 <https://fb.watch/8hXysz2rdH/>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].  
 35 საქართველოს მთავრობა, 01.09.2021 <https://fb.watch/8hY26DOLr-/>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].  
 36 საქართველოს მთავრობა, 01.09.2021 <https://fb.watch/8hYp251jz1/>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

- 10 სექტემბერი. ირაკლი ღარიბაშვილი გერგეტის სამებაში სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელთან ერთად. პრემიერ-მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, პარლამენტის დეპუტატები - დიმიტრი ხუნდაძე, ალუდა ლუდუშაური და ლევან მგალობლიშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში დავით ნოზაძე.<sup>37</sup>



- 11 სექტემბერი. ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასთან ერთად აწყურში, ღვთისმშობლის სახელობის კათედრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. საქართველოს მთავრობის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, პროექტს ფონდი „ქართუ“ ახორციელებს. აწყურში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ უმასპინძლა.<sup>38</sup> მეუფემ პრემიერ-მინისტრს კათედრალის რეაბილიტაციის დაწყებისთვის მადლობა გადაუხადა და წმინდა გიორგის ხატი აჩუქა.
- 11 სექტემბერი. მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორესთან ერთად ახალციხის უნივერსიტეტს ესტუმრა. პრემიერი აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელთან და ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის და ასპინძის მაჟორიტარ დეპუტატ ანტონ ობოლაშვილთან ერთად შეხვდა.<sup>39</sup>
- 12 სექტემბერი. მთავრობის მეთაურმა აბასთუმანში, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის დედათა მონასტერი ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტრო-

<sup>37</sup> საქართველოს მთავრობის ფეისბუქ გვერდი, 10.09.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/2087557514715475>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>38</sup> საქართველოს მთავრობის ფეისბუქ გვერდი, 11.09.2021, <https://www.facebook.com/GeorgianGovernment/videos/221260036568704>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>39</sup> საქართველოს მთავრობის ფეისბუქ გვერდი, <https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/2088531301284763>, გამოქვეყნების თარიღი - 11.09.2021. ვიდეოს მასალის ბმული ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/GeorgianGovernment/videos/392126609033810>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

პოლიტთან მეუფე თეოდორესთან და მონასტრის წინამძღვარ ილუმენია ბარ-ბარესთან ერთად „მოილოცა“. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, მონასტრის აღდგენის პროცესი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო.<sup>40</sup>

- 14 სექტემბერი. პრემიერ-მინისტრი წმინდა ნიკოლოზის სახელობის მშენებარე ტაძარში სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსს სვიმეონს შეხვდა. ვიზიტისას, პრემიერ-მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, ვიცე-პრემიერი, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ვალერიან მჭედლიძე. მეუფემ აღნიშნა, რომ ტაძარი ეკლესიის და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით შენდება.<sup>41</sup>
- 14 სექტემბერი. ირაკლი ღარიბაშვილი გორში, აღდგომის სახელობის მშენებარე ტაძარში ატენის მიტროპოლიტ მეუფე ანდრეას შეხვდა. პრემიერ-მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ ვიცე-პრემიერი, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ვალერიან მჭედლიძე. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ინფორმაციით, ტაძრის გუმბათი და ცენტრალური თაღი ფონდი „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით აშენდა; სამუშაოების ნაწილი კი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით და ტაძრის შემოწირულობებით შესრულდა.<sup>42</sup>

### „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

ფარული მიყურადების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, მეორე დღესვე ფეისბუქ მიმართვებით გამოეხმაურნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარტიის თავმჯდომარე ნიკა მელია. ორივე პოლიტიკოსმა ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობაში ბიძინა ივანიშვილი დაადანაშაულა, რომელსაც, მათი განცხადებით, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე ამოცანად ჰქონდა „ყველა ავტორიტეტის განადგურება, რომელიც მის ძალაუფლებას კონკურენციას შეუქმნიდა“.<sup>43</sup> სააკაშვილის განცხადებით, ივანიშვილს ყოველთვის „ძალიან აღიზიანებდა“ ქართული ეკლესია და „ყოველთვის იყო პატრიარქის პირადი მტერი“.<sup>44</sup> ნიკა მელიამ ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, რომ ივანიშვილს განსაკუთრებით აგრესიული დამოკიდებულება ჰქონდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ, რომელიც „წლების განმავლობაში ყველაზე სანდო ინსტიტუცია იყო ქვეყანაში და ყველაზე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა.“ ბრიფინგზე ნათლად

<sup>40</sup> საქართველოს მთავრობა (ფეისბუქ გვერდი), 12.09.2021

<https://www.facebook.com/GeorgianGovernment/videos/376299503990800>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>41</sup> საქართველოს მთავრობა (ფეისბუქ გვერდი), 14.09.2021

<https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=335341244948990>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>42</sup> საქართველოს მთავრობის ფეისბუქ გვერდი, 14.09.2021,

<https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=258372002955634>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>43</sup> ნიკა მელიას ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 14.09.2021,

<https://www.facebook.com/Nika.Melia5/videos/4451913794876395>

<sup>44</sup> მიხეილ სააკაშვილის მიმართვა, 14.09.2021, ხელმისაწვდომია


<https://www.facebook.com/watch/?v=871160780432813>, [ბოლოს ნანახია 23.09.2021].

გამოიკვეთა „მსხვერპლის“ (ეკლესიის და სასულიერო პირების) ბიძინა ივანიშვილისგან „დაცვის“ განზრახვა, რაც მართლმადიდებლური მრევლის გულის მოგებას უნდა ისახავდეს მიზნად. ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის განცხადებით, სასტიკად უნდა დაისაჯოს ივანიშვილის რეჟიმი „მილიონობით მორწმუნის განსაცდელში ჩაგდებისთვის და მათი რწმენის შერყევის მცდელობისთვის.“<sup>45</sup>

### „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე გავრცელებულ ფარული მიყურადების ფაილებს „პატრიოტთა ალიანსი“ სახელისუფლებო პარტიის და არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკით გამოეხმაურა. ამავდროულად, პარტიამ მედია-კავშირი „ობიექტივისა“ და სოციალური ქსელების საშუალებით, მხარდაჭერა გამოუცხადა ეკლესიას და სასულიერო პირებს.

- 15 სექტემბერს, პატრიოტთა ალიანსის საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მალხაზ თოფურია გადაცემაში „ღამის სტუდია“ სასულიერო პირთა ფარულ მოსმენებს გამოეხმაურა: „უდიდესი თანხები მოდის გრანტების სახით ეკლესიის დისკრედიტაციისთვის.“<sup>46</sup>
- 16 სექტემბერს, „ობიექტივის“ ეთერში პარტიის მერობის კანდიდატმა გიორგი ლომიამ სუს-ის ფარული მიყურადების ფაქტებზე ისაუბრა. ეკლესიისა და რელიგიის ინსტიტუტის დასუსტების მცდელობის გამო გააკრიტიკა ოპონენტები, სახელისუფლებო ძალა და არასამთავრობო ორგანიზაციები. გიორგი ლომიას განცხადებით, დარტყმა მიაყენეს ეკლესიას, რომელიც არის „ერთადერთი შემაკავებელი ძალა, რომ იდენტობა არ დაგვარგოთ.“<sup>47</sup>



- 16 სექტემბერს, „პატრიოტთა ალიანსის“ ვაკის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატმა ირმა ცხორაგაულმა გადაცემაში „ღამის ბოლოს“ წინასაარჩევნოდ

<sup>45</sup> იქვე.

<sup>46</sup> „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ფეისბუქ გვერდი, 15.09.2021, <https://www.facebook.com/watch/?v=614382856391919>, [ბოლოს ნანახია 22.09.2021].

<sup>47</sup> მედია-კავშირი ობიექტივის ფეისბუქ გვერდი, 16.09.2021, <https://www.facebook.com/obieqti/videos/1187058588467180>, [ბოლოს ნანახია 22.09.2021].

გავრცელებულ ფარული მიყურადების საკითხზე ისაუბრა, სადაც ოპონენტების გარდა, კონკრეტული სუბიექტებიც - არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველი და პეტრე ცაავა<sup>48</sup> დაადანაშაულა.

7 სექტემბერს სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც მამა ილია ესარათია აცხადებს, რომ მხარს უჭერს პატრიოტთა ალიანსს. ამონარიდი ვიდეოდან - „ჩვენ დავუდგებით გვერდში, მათ გვერდითა ვართ. 5 ივლისს დავითი და ირმა იყვნენ იქ! რუსთაველის გამზირზე. ღმერთმა დალოცოს ორივე.“<sup>49</sup>

### „ლელო საქართველოსთვის“

„ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა ბადრი ჯაფარიძემ ორ სექტემბერს გამოაქვეყნა წინასაარჩევნო კამპანიისთვის განკუთვნილი ვიდეორგოლი, რომელიც ძველი აღქმის სიტყვებით და მცხეთისა და ჯვრის მონასტრის ხედებით იწყება.<sup>50</sup>

პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე სუს-ის ფარული მიყურადების ფაქტს გამოეხმაურა, ე.წ. ფარულ ჩანაწერებში მასსა და მეუფე თეოდორეს შორის გამართული საუბრის ავთენტურობა დაადასტურა და მომხდართან დაკავშირებით გამოძიების დაწყება მოითხოვა. მამუკა ხაზარაძემ სასულიერო პირებს მხარდაჭერა გამოუცხადა. „ვინ მოგვით უფლება ჩაწეროთ პატრიარქი, ჩვენი მოძღვრები და შეეხოთ აღსარების საიდუმლოებას? პრემიერო, ძველო, თუ ახალო, ახლა რომ თავს იბრძვივებთ, თქვენ ბანანის ქვეყანა ხომ არ გგონიათ ეს?“<sup>51</sup> ხაზარაძეს განცხადებით, „ქართული ოცნება“, რომელიც ეკლესიის დამცველად გვევლინება, რეალურად აშანტაჟებს ეკლესიას, მის წარმომადგენლებს და ებრძვის მას.<sup>52</sup>

## 2.3. საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერი/საინააღმდეგო განცხადებები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 15 აგვისტოდან აკვირდებოდა სასულიერო პირების განცხადებებს სოციალურ მედიაში. თუ 13 სექტემბრამდე მღვდელმთავრები თავს იკავებდნენ პოლიტიკური შინაარსის განცხადებებისგან, მათი პოზიცია ფარული ჩანაწერების გასაჯაროების შემდეგ შეიცვალა.

ამის ნათელი მაგალითია ბოდბელი ეპისკოპოსის იაკობის რიტორიკის ცვლილება. მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსმა 2021 წლის პირველ ივნისს პარტიის შექმნის

<sup>48</sup> „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ფეისბუქ გვერდი, 16.09.2021 <https://www.facebook.com/watch/?v=890801848198854>, [ბოლოს ნანახია 22.09.2021].

<sup>49</sup> ირაკლი ჯანყარაშვილის ფეისბუქ-გვერდი <https://www.facebook.com/100057263684749/videos/526109101895832>, 7.09.2021.

<sup>50</sup> ბადრი ჯაფარიძის ფეისბუქ-გვერდი, <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=531278908139224>, 2.09.2021.

<sup>51</sup> alia.ge, 16.09.2021, <https://www.alia.ge/vin-mogtsath-uphleba-chatseroth-patriarqi-chveni-modzghvrebida-sheekhoth-aghsarebis-saidumloebas-es-iqneba-thqveni-dasasruli-mamuka-khazaradze/>, [ბოლოს ნანახია: 28.09.2021].

<sup>52</sup> interpressnews.ge, გამოქვეყნების თარიღი - 14.09.2021 <https://www.interpressnews.ge/ka/article/673952-mamuka-xazaraze-kartuli-ocneba-romelic-vitom-eklesiis-damcvelad-gvevlineba-realurad-ashantazhebs-da-ebzvis-chvens-eklesias>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

განზრახვა ამცნო საზოგადოებას, 13 სექტემბრის შემდეგ მის განცხადებებში ფოკუსი „ქართული ოცნების“ მხარდაჭერაზე გადავიდა.

ჩვენი დაკვირვების არეალში უპირველეს ყოვლისა ის მღვდელმთავრები მოექცნენ, რომლებიც საარჩევნო პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით გამოირჩეოდნენ. ყურადღება გავამახვილეთ იმ სასულიერო პირებზე, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს აქტიურად მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო კამპანიაში.<sup>53</sup>

## ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი

ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი წმინდა სინოდის წევრია. მის სახელს უკავშირდება არაერთი წინააღმდეგობრივი პოლიტიკური შინაარსის განცხადება. 2021 წლის პირველ ივნისს ინტერნეტ ჟურნალმა „ნეტგაზეთმა“ გავრცელა ინფორმაცია, რომ ბოდბელი ეპისკოპოსი უნდობლობას გამოთქვამდა პოლიტიკური სპექტრის მიმართ და თავად აპირებდა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან გამკლავებას. „ამ არჩევნებს გავატარებ, შევხედავ, რა ხდება და რა არა. ის საშუალება აღარ ეგონოთ პარტიებს, რომ კიდევ ქუჩაში დავსვით და დაიწყონ ყვირილი. ჩავერთვებით მერე ყველანაირი ფორმით. საქართველოს ასეთ არევას უკვე არავის ვაპატიებთ. მანამდე ეკლესიაში მოგვარებული გვექნება ყველაფერი.“<sup>54</sup>

იმავე სტატიაში იაკობი აკრიტიკებს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და ყოფილ პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას. „დღევანდელ სიტუაციაში ქართველი კაცი, გინდ არ მოსწონდეს მმართველი პარტია, „ნაციონალების“ დაბრუნებას, მით უმეტეს, მიშას დაბრუნებას არ დაუშვებს. ვიცი განწყობა, იარაღსაც აიღებენ ხელში.“<sup>55</sup>

იაკობის მხრიდან პოლიტიკური შინაარსის განცხადებები და საარჩევნო სუბიექტების კრიტიკა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც 13 სექტემბერს, „ტვ. პირველის“ ეთერით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ფარულად აყურადებს საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს, საპატრიარქოს ადმინისტრაციის თანამშრომლებს და ყველა რანგის მღვდელმსახურებს.

16 სექტემბერს, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში იაკობმა სუს-ის ფარული მიყურადების ჩანაწერების გასაჯაროება გიორგი გახარიას დაუკავშირა და განაცხადა, რომ გიორგი გახარია სამთავრობო გუნდში ყოფნისას სასულიერო პირებზე კომპრომატების მოგროვების ბრძანებას გასცემდა.<sup>56</sup> მიტროპოლიტმა ჩანაწერების გავრცელებას წინასაარჩევნო მანიპულაცია უწოდა. „თქვენ გახსოვთ, რომ მე ადრე გავაკეთე განცხადება, რომ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი გიორგი გახარია ითხოვდა შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებიდან, მღვდლებზე და სასულიერო პირებზე ზოგადად შეეგროვებინათ კომპრომატები. [...] მაშინ ძალიან ბევრი ადამიანი, თუნდაც დღევანდელი ხელისუფლებიდან უარყოფდა მასეთ რამეს. [...] მე სიმართლეს ვლავარაკობდი, იმიტომ რომ

<sup>53</sup> დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგენტურაში მონაწილეობის მონიტორინგის ანგარიში“, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/493>, ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>54</sup> ნეტგაზეთი, 01.06.2021. <https://netgazeti.ge/news/545436/>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> ტვ. იმედი, 16.09.2021,

[https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=835738867114872&external\\_log\\_id=0565940f-0df5-4f52-80b6-7dfca79c00e4&q=%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98](https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=835738867114872&external_log_id=0565940f-0df5-4f52-80b6-7dfca79c00e4&q=%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98), [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

ვისაც [გიორგი გახარია] ავალეზდა, რამდენიმე მითხრა და თან სხვადასხვა მხრიდან ვამოწმებდი და აბსოლუტურად ასე იყო და შემდეგ მათ სუნთქვას ყველგან ვგრძნობდი. ბრძანება მოდიოდა მაგისგან [გიორგი გახარიასგან], მას კი ვინ აძლევდა ბრძანებას, არ ვიცი, ჩვენი ქვეყნიდან ალბათ არ იყო.“ – განაცხადა იაკობმა.

ეპისკოპოსის განცხადებით, სუს-ის ჩანაწერების გავრცელება და ეკლესიის დისკრედიტაცია ქართულ ოცნებას ხმებს წაართმევდა.<sup>57</sup> „ახლა იცით რომ 43%-ზე მიდის საუბარი. მართალია, ოცნებამ განაცხადა, რომ აღარ აქვს გეგმაში, თუ 43%-ზე ნაკლები იქნება, ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, მაგრამ ალბათ საზღვარგარეთისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება. [გახარია] შემოსულია იმ ველზე, სადაც, მაგამი ვერ გაამტყუნებ, უნდა რომ ოცნებას წაართვას ხმები. როცა ხელისუფლება შევცვალეთ 2012-ში, გახარია სად იყო და მის იდეებს ვინ უნდა გაჰყვეს? უბრალოდ „ოცნებას“ დააკარგვინებდა რაღაც რაოდენობის ხმას“.<sup>58</sup> 16 სექტემბერს გასული ეთერის საფუძველზე, სხვადასხვა მედია საშუალებებში მომზადებული მასალის მიხედვით, მეუფე იაკობმა განაცხადა, რომ გახარია „მოსკოვის კაცია და ეკლესიას ებრძოდა.“<sup>59</sup>

მთავარი ახალი ამბები | ბოლო სიახლეები | პოლიტიკა | ეკონომიკა | საზოგადოება | მსოფლიო | სამართალი | კრიმინალი | კულტურა | სპორტი | მულტიმედია | ქიზნები | სხვა

### გახარია მოსკოვის კაცია, ეკლესიას ებრძოდა - მეუფე იაკობი

17 სექტემბერი, 2021 00:07



ნინოწმინდის ნაგზეთა პანსიონის ხელმძღვანელი, ბოდბელი ეპისკოპოსი მეუფე იაკობი აცხადებს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი და პარტია "საქართველოსთვის" თავმჯდომარე გიორგი გახარია "მოსკოვის კაცია".

"მე აღრე გაეკეთე განცხადება, რომ მამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარია შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებისგან ითხოვდა მღვდლებზე და ზოგადად სასულიერო პირებზე შეფერვებისათვის კომპრომატები", - განაცხადა მეუფე იაკობმა.

კითხვაზე, უცდია თუ არა მას გახარიათან შეხვედრა, მეუფე აცხადებს, რომ ამის სურვილი არ ჰქონია.

"მასთან შეხვედრა არასდროს მსურდა იმის გამო, რასაც აკეთებდა. იმასაც ვიცი, რომ ეკლესიას ებრძოდა. ალბათ გუნდმა ერსაც უნდა მოუხადოს ზოდიში, რომ ასეთი კაცი გაეპარათ და ჰყავდათ გუნდში", - განაცხადა მეუფე იაკობმა "იმედის" ეთერში.

მეუფე იაკობის განცხადება გიორგი გახარიაზე

ზურა ჯიშვარიანი - ახალი რ...

ბოლო სიახლეები

შენც ხომ გაქვს გაკეთებული აბორტი და შენთვისაც ვილოცებთო - ხათუნა ხაშიძე  
19 სექტემბერი, 2021 22:09

გამაოგნა გამოყოფილი დოკუმენტების მოტივობამ - ნინო ლომჯარია  
18 სექტემბერი, 2021 23:37

დადიანის გამოირჩე მომხდარი ავარიის დროს ექვსი ავტომობილი დაზიანდა  
19 სექტემბერი, 2021 22:17

მიტროპოლიტი სერგი Covid 19-ით გარდაიცვალა  
18 სექტემბერი, 2021 21:09

პარალელურად, იაკობმა განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილს წარმატებულ პოლიტიკოსად მიიჩნევს.<sup>60</sup>

### დეკანოზი ელიოზ ჯინჭარაძე

<sup>57</sup> ტვ. იმედი, 16.09.2021, [https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=835738867114872&external\\_log\\_id=0565940f-0df5-4f52-80b6-7dfca79c00e4&q=%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98](https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=835738867114872&external_log_id=0565940f-0df5-4f52-80b6-7dfca79c00e4&q=%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98) , [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>58</sup> იქვე.

<sup>59</sup> Report.ge, 17.09.2021, <https://report.ge/society/gakria-moda-meue-iakobi/?fbclid=IwAR2Klz9QdRvRIUVZ2zlQnBD9cK4kKsohtvN7TBPIBUruCgIefGsrHnli1E>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>60</sup> ტაბულა, 28.02.2021, <https://tabula.ge/ge/news/663057-meupe-iakobi-gharibashvilze-me-vtvlidi-rom>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

სოციალურ მედიაში მომხმარებლის მიერ გაზიარებული ვიდეო, სურათი და ტექსტი ინფორმაციის მდიდარი წყაროა, რომლის მიხედვითაც დგინდება სასულიერო პირთა ჩართულობა წინასაარჩევნო კამპანიაში.

პირველ სექტემბერს დეკანოზმა ელიოზ ჯინჭარაძემ ირონიული შინაარსის პოსტი გააზიარა, სადაც საქართველოს პრეზიდენტისა და მერობის კანდიდატის რიჩარდ არინზე ოგბუნუჯუს ფოტოებია გაერთიანებული წარწერით - „ეს ორი ერთმანეთს არ დაალაპარაკოთ, შეიძლება ეშმაკი გამოიძახონ.“



17 სექტემბერს დეკანოზმა ელიოზმა გააზიარა „ოცნება იგებს“ ფეისბუქ გვერდის ვიდეო, სადაც ფილოლოგი გურამ შარაძე აკრიტიკებს საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და ამბობს, თუ სააკაშვილი გახდება პრეზიდენტი, „ქართული ქრისტიანობა“ აღარ იქნება.<sup>61</sup>

დეკანოზ ელიოზის მიერ გაზიარებულ ინფორმაციას, რომელიც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ შინაარსს ატარებს, არ აქვს მრავალრიცხოვანი მოწონებები, თუმცა დეკანოზის ფეისბუქ მეგობრების მრავალრიცხოვანი სია, რომელიც თითქმის 5 000 ადამიანს აერთიანებს, მიანიშნებს ინფორმაციის გავრცელების ფართო მასშტაბებზე.<sup>62</sup>


### დეკანოზი ანდრია ჯალმაიძე

დეკანოზი ანდრია ჯალმაიძე საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელია. დეკანოზმა 13 აგვისტოს გააზიარა ირაკლი ღარიბაშვილის პოსტი, სადაც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ აცრა ნებაყოფლობითა და თითოეულმა ადამიანმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ჩაერთვება თუ არა ვაქცინაციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა

<sup>61</sup> ოცნება იგებს - ფეისბუქ გვერდი, 23.08.2021, <https://www.facebook.com/ocnebaigebts/videos/130561675872975>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>62</sup> დეკანოზ ელიოზ ჯინჭარაძის ფეისბუქ გვერდი, [https://www.facebook.com/profile.php?id=100010330098011&comment\\_id=Y29tbWVudDo1NzIzNzA3MDA4MDAzODNfNTcyMzgwMDg3NDY2MTEx](https://www.facebook.com/profile.php?id=100010330098011&comment_id=Y29tbWVudDo1NzIzNzA3MDA4MDAzODNfNTcyMzgwMDg3NDY2MTEx), [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

ირაკლი ღარიბაშვილმა ეს განცხადება ახმეტის მერობის კანდიდატის ალექსი ფიცხელაურის წარდგენის ღონისძიებაზე გააკეთა.<sup>63</sup>



საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრის განცხადებას იზიარებს.

წინასაარჩევნოდ სამაუწყებლო კომპანია „ფორმულამ“ „ედისონ რისერჩის“ პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო რეიტინგების კვლევა გაავრცელა, რომლის თანახმადაც, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მოსახლეობის უმრავლესობა მხარს დაუჭერდა ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ პარტიებს. კითხვაზე, „დღეს რომ არჩევნები ტარდებოდა, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?“, გამოკითხულთა 4%-მა პოლიტიკური სუბიექტი „გირჩი - მეტი თავისუფლება (ზურაბ ჯაფარიძე)“ დაასახელა.<sup>64</sup>

16 სექტემბერს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“ პარტია გირჩის მიერ დაარსებულ რელიგიურ ორგანიზაციას სპეციალური გადაცემა მიუძღვნა. გადაცემაში „გზაგასაყართან“ დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ ისაუბრა სინოდის ბოლო, 2021 წლის 11 თებერვალს მიღებულ განჩინებაზე, რომლის მიხედვითაც, გირჩის მიერ შექმნილ ორგანიზაციას მართლმადიდებლური ეკლესია მიიჩნევს თვითმარქვიად, ხოლო მათ ქმედებას - საეკლესიო სწავლებისა და მსახურების შეურაცხყოფად.

### ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი

ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი ანტონი წმინდა სინოდის წევრია. ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ოფიციალურმა ფეისბუქ გვერდმა მიტროპოლიტი ანტონის ხელმოწერით 5 სექტემბერს ჰომოფობიური პოლიტიკური შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „კარს შემოდგა შემოდგომა..... გვიახლოვდება არჩევნები.... იმასაც ამზობენ, რეფერენდუმის ტოლიაო... ახლოსაა სიმართლესთან.... ვხედავ, როგორ ნელ-ნელა მოდის

<sup>63</sup> პირველი არხი, 13.08.2021, [https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-dghes-vaqcinaciastan-dakavshirebit-gaketebuli-chemi-natqvami-arasworad-iqna-gagebuli-ra-tqma-unda-vaqcinacia-aris-nebayoflobiti-es-aris-adamianis-archevani/?fbclid=IwAR3Fd6TzIMhrVg3QVZKWYilFQyFZYkT9f1ThVDyDb1ic1ga8\\_52ilZdX9M](https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-dghes-vaqcinaciastan-dakavshirebit-gaketebuli-chemi-natqvami-arasworad-iqna-gagebuli-ra-tqma-unda-vaqcinacia-aris-nebayoflobiti-es-aris-adamianis-archevani/?fbclid=IwAR3Fd6TzIMhrVg3QVZKWYilFQyFZYkT9f1ThVDyDb1ic1ga8_52ilZdX9M), [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>64</sup> სპეცთერი: Edison Research-ის კვლევის შედეგები, ტვ. ფორმულა, 27.09.2021, <https://www.facebook.com/TVFormula/videos/4423445397736028>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

მამათმავლობისა და მსგავსი უზნეობების შემოყვანა ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს ცხოვრებაში, პრაიდების მცდელობით, სასწავლებლებში დაშვებით, ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდოლოგიურად, დაჟინებით, ყველანაირი მისაღები და მიუღებელი ფორმებით. დაფინასებით, ათასნაირი წახალისებებით, ტუჩებზე ღიმილით, მჭერმეტყველებებით, მიზანმიმართულებით... ვხედავ ქვეყნებს, სადაც პრემიერი ლეისბოსელია, ქალაქის მერი მამათმავალი... მივდივარ დასკვნამდე, რომ ეს და ყველა არჩევნები ლუსტრაციაა, რეფერენდუმი რაღორი ქართველები ვართ! მზად ვართ და გზას ვუმზადებთ პედარასტებისა და მათნაირი უმსგავსოების მოყვანას ხელისუფლებაში თუ ჯერ კიდევ არ გადავგვარებულვართ და მზად ვართ ზნეობრივი პრინციპები ვარჩოთ, ალერსიანობით დაპირებულ და საკენკით მიტყუებულ „სამოთხეს“! ფაქტიურად **ოპოზიციის 15 პარტიამ ხომ დააანონსა ლგპტ-ს ლობირება**. ესენი ხომ ისინი არიან და იქნებიან, ვისაც უბრძანებს ევროკავშირი, ამერიკა, რომ თანამდებობრივი ზრდა, პოსტები შეუზღუდავად მიეცეს პედარასტიით შეპყრობილ ადამიანებს“.<sup>65</sup>

მეუფე ანტონი სენსიტიურ თემებზე მანიპულირებით ცდილობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ზეგავლენას და მრევლის მთელი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის წინააღმდეგ განწყობას.

**არქიმანდრიტი ბართლომე ფირცხალაშვილი**

15 სექტემბერს არქიმანდრიტი ბართლომე სუს-ის მიერ ფარული მოსმენების გამჟღავნების ფაქტს გამოეხმაურა. მისი თქმით, ფარული მიყურადება სახელმწიფო უსაფრთხოების საქმეა მოქალაქეების დასაცავად და არჩევნებზე ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემს.<sup>66</sup>



<sup>65</sup> ვანისა და ბაღდათის ეპარქია - ფეისბუქ გვერდი, 5.09.2021, <https://www.facebook.com/photo?fbid=1657369564608484&set=a.176999089312213> , [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].  
<sup>66</sup> ტაბულა, 15.09.2021, [https://tabula.ge/ge/news/673023-arkimandriti-bartlome-susis-movaleobaa-usminos?fbclid=IwAR3iY8xx-pA9k-m-Ae5or0L6PMAYGxH8XTY6dnMDnQCRoxhqsjiv5Tn\\_Tl](https://tabula.ge/ge/news/673023-arkimandriti-bartlome-susis-movaleobaa-usminos?fbclid=IwAR3iY8xx-pA9k-m-Ae5or0L6PMAYGxH8XTY6dnMDnQCRoxhqsjiv5Tn_Tl) , [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

## მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი

მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი წმინდა სინოდის წევრი და პატრიარქის ძმიშვილია. 22 სექტემბერს, არჩევნებამდე 10 დღით ადრე, მიტროპოლიტმა თავის ფეისბუქ გვერდზე გააზიარა „ქართული ონცების“ მერობის კანდიდატის კახა კალაძის ვიდეო. ვიდეოში კახა კალაძე ბურთით თამაშობს, რომელსაც ოპოზიციური პარტიების ლოგოები ენაცვლება.<sup>67</sup>

### 3. სასულიერო პირებზე ფარული მიყურადების ჩანაწერების გავრცელება, როგორც წინასაარჩევნო მანიპულაცია

არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მედია სივრცეში გავრცელებულმა ინფორმაციამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სასულიერო პირების ფარულ მიყურადებაზე, წინასაარჩევნო გარემო მნიშვნელოვნად შეცვალა. 14 სექტემბერს განცხადება გააკეთა ირაკლი ღარიბაშვილმა: „ეს არის პირდაპირი შეთქმულება ეკლესიისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ და უსუსური მცდელობა თითქოს, რაღაც გაუგებრობა მოხდეს მთავრობასა და ეკლესიას შორის. დღეს, ისე როგორც არასდროს, არსებობს ძალიან ძლიერი და მტკიცე ერთობა მთავრობასა და ეკლესიას შორის.“<sup>68</sup>

მასალების გავრცელებას საპატრიარქოც გამოეხმაურა. 14 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **დეკანოზ-მა ანდრია ჯალაღანიძემ** განაცხადა, რომ სკანდალური ფაილების გავრცელება პოლიტიკური ინტერესებით ნაკარნახევი წინასაარჩევნო მანიპულაციაა. თუმცა, დეკანოზს არ დაუკონკრეტებია, ვინ შეიძლება მდგარიყო ფაილების გავრცელების უკან. „სულ უფრო მკაფიო შთაბეჭდილება რჩება, რომ ძალები, რომლებიც, სავარაუდოდ, ფარული მიყურადების დეტალების გასაჯაროებაში არიან ჩართული, ეკლესიის ფაქტორით არჩევნებში მანიპულაციას ცდილობენ.“<sup>69</sup>

სუს-ის მიერ სასულიერო პირების ფარულ მიყურადებას ერთ-ერთი პირველი ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის **მიტროპოლიტი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი** გამოეხმაურა. მან ჟურნალ „ტაბულასთან“ საუბარისას დაადასტურა, რომ სავარაუდოდ, სუს-ის ფაილებში თავმოყრილი ფაქტები რეალობის შემცველი იყო და ნამდვილად ჰქონდა კომუნიკაცია დოკუმენტების მიხედვით წარმოდგენილ პიროვნებასთან.<sup>70</sup> ნიკოლოზ ფაჩუაშვილის აზრით, ფარული ჩანაწერების გავრცელებით ქვეყანას ზიანი მიაყენეს. „ეს არის ჭუჭყიანი წყალი, რომელიც ვიღაცამ პირი გააღო და გადმოასხა იქიდან და ეს ვიღაც ვიცით ვინც არის.“<sup>71</sup>

<sup>67</sup> დიმიტრი შიოლაშვილის ფეისბუქ გვერდი, 22.09.2021, <https://www.facebook.com/mitropolitidimitri.shiolashvili>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>68</sup> ტაბულა, 14.09.2021, <https://tabula.ge/ge/news/672976-gharibashvili-dghes-rogoris-arasdros-arsebobs?fbclid=IwAR3aVrtp8l7Yi-YXdTatVHbrYIk6LHC8TF5zY5NaVS3vec4sJljkvwaaTMc>, [ბოლოს ნანახია: 18.09.2021].

<sup>69</sup> საპატრიარქოს უწყებანი, ფეისბუქ-გვერდი, 14.09.2021,

<https://www.facebook.com/sap.uwebaNews/photos/a.127386075337274/608260433916500/>, [ბოლოს ნანახია: 21.09.2021].

<sup>70</sup> ტაბულა, 13.09.2021, <https://tabula.ge/ge/news/672909-meupe-nikoloz-savaraudod-sus-pailshinakhsebeb?fbclid=IwAR3sLb0uu35hu0nrmKaARmGrUCnGXrmqv20tSywxQsVjuLht1fx6g-uL2l>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>71</sup> ინტერპრესნიუსი, 15.09.2021, <https://www.interpressnews.ge/ka/article/674133-meupe-nikoloz-kveqanas-shemoasxeschuchqiani-cqali-vin-shemoasxa-ratom-shemoasxa-ar-vici-me-sasuliero-piri-var-chems-sakmes-vaketeb-da-ar-makvs-cvdoma-parul-chanacerebeze>, [ბოლოს ნანახია: 21.09.2021].

მოგვიანებით სუს-ის მიერ სასულიერო პირების სავარაუდო მოსმენაზე კომენტარი ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვარმა **მამა შალვა კველიამ** გააკეთა. მისი განცხადებით, ფარული მოსმენის შემთხვევებზე იცოდა, თუმცა ამის წინააღმდეგი არ იყო: „მე მოსმენს ეშმაკიც, მოსმენს ღმერთიც, ყველა მოსმენს.“ ამავე ინტერვიუში ღვთისმსახურმა ფარული მოსმენების პრაქტიკის გამართლება სცადა: „მე ნეტა ყველა ადამიანი მოსმენდეს, როგორ ვცხოვრობ. 24 საათი მრევლთან ვარ, როგორ ვშრომობ. ნეტა ყველა ადამიანმა მოსმინოს ჩემი ქადაგება, რას ვლაპარაკობ, როგორ ვლაპარაკობ. ერთადერთი, რასაც ვითხოვ, ის არის, რომ აღსარების დროს არ მოგისმინონ, იმიტომ, რომ ადამიანი სულს გაბარებს და ძალიან მძიმეა, იქ ადამიანმა მოსმენა დაგიწყოს. თორემ ადამიანი ჩემს ცხოვრებას რომ დააკვირდეს, ეს ჩემთვის მიუღებელი არ არის.“ „ჩემი პირადი რამის გაშუქების არ მეშინია, ერთადერთი - საპირფარეოში არ გადამიღონ, საძინებელში არ გადამიღონ და აბანოში არ გადამიღონ.“<sup>72</sup>

**ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონმა** 15 სექტემბერს ტვ. იმედის ეთერში ისაუბრა სუს-ის სავარაუდო მოსმენების გავრცელებულ ფაილებზე და აღნიშნა, რომ მასალები მტრობის და შუღლის გაღვივებისთვის გაავრცელეს. „რას წუხან, ჩვენზე წუხან?! რაღაცის გაღვივება უნდათ, რომ გააღვივონ მტრობა, შური. ამაზე თუ ვინმე უნდა წუხდეს, ჩვენ უნდა ვწუხდეთ, ჩვენ ვუპასუხებთ,“ - განაცხადა მეუფე ანტონმა.<sup>73</sup>

ის, რომ ფარულ მიყურადების შესახებ იცოდა, დაადასტურა **ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა**. „პირადად მე რომ მოსმენდნენ, ვიცოდი. რამოდენიმეჯერ გავაფრთხილე მაგ იმაზე შესაბამისი უწყებები.“<sup>74</sup> იაკობის აზრით, ფარული ჩანაწერების გასაჯაროების ინტერესი ყოფილ პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას ქონდა.

24 სექტემბერს, გადაცემაში „გზაგასაყართან“ **დეკანოზ ანდრია ჯალმაიძესთან** ფარული მოსმენების საკითხზე განცხადება გააკეთა **დეკანოზმა ალექსანდრე გალდავამ**. სასულიერო პირებმა იმ ტელევიზიებზე ისაუბრეს, რომლებიც სავარაუდოდ, მიყურადების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას აშუქებდნენ.<sup>75</sup> „სწორედ ეს ტელევიზიები გახდნენ ახლა ეკლესიის დამცველები და ეს ერთგვარი სახეა მათი, რომ თითქოს ეკლესიის დამცველები გამოვიდნენ და სახელმწიფოსგან იცავენ ეკლესიას. ეს არის ფარი, მათი ფასადი, რომ ვითომ ეკლესიაზე შესტკივით გული.“ ღვთისმსახურების განცხადებით, ტელევიზიები ახდენენ ერთგვარ შთაბეჭდილებას მოსახლეობაზე იმ სურათის აღწერით, რომელსაც ავრცელებენ. დეკანოზ ალექსანდრეს კონკრეტული ტელევიზიები არ დაუსახელებია.

იგივე გადაცემაში საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ანდრია ჯალმაიძემ განაცხადა, რომ თუ ტელევიზიები მათთვის არასასურველი ფორმულირებით გააშუქებენ ფარული ჩანაწერებში არსებულ ფაილებს, მაშინ მრევლს პირდაპირ მოუწოდებენ, როგორ მოიქცნენ არჩევნებზე. „ნამდვილად გინდათ,

<sup>72</sup> ფორმულანიუსი, 14.09.2021, [https://formulanews.ge/News/56626?fbclid=IwAR3Am\\_apJgbmPppknsDImPIh\\_iMejMWCGJuQ9wDOLJbxxdvK-lpnGgt7CFA](https://formulanews.ge/News/56626?fbclid=IwAR3Am_apJgbmPppknsDImPIh_iMejMWCGJuQ9wDOLJbxxdvK-lpnGgt7CFA), [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>73</sup> იმედინიუსი, 15.09.2021 <https://imedineews.ge/ge/politika/218386/meupe-antoni-savaraudo-chanatserebze-undat-rom-mtroba-da-shuri-gaagvivon>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>74</sup> ნეტგაზეთი, 15.09.2021, <https://netgazeti.ge/news/563766/?fbclid=IwAR3sY0icdPrWcDElaw9Q8O7Kd209jv0wipYW6G0NXdhTQ-gfLM3IYir7h-c>, [ბოლოს ნანახია: 27.09.2021].

<sup>75</sup> საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, გადაცემა „გზაგასაყართან“ 24.09.2021, <https://www.facebook.com/watch/?v=386903306314911>, [ბოლოს ნანახია: 28.09.2021].

რომ ეკლესიამ ყველაფერი ილაპარაკოს და წინასაარჩევნოდ ნამდვილად გინდათ, რომ თავის მრევლს ყველაფერი დაუღუპოს და უთხრას, რასაც თქვენ შესახებ ვფიქრობთ? აი, შევხედავთ რამდენიმე დღე, კიდევ დავაკვირდებით, რა რიტორიკა იქნება, რა პათოსი იქნება და შესაძლებელია, რომ ამის მერე არავის აღარ უკვირდეს, თუ ეკლესია მკაფიოდ ეტყვის თავის მრევლს, რა გააკეთოს მან არჩევნებზე.“

26 სექტემბერს, ტელეკომპანია იმედის გადაცემა „იმედის კვირაში“ სპეციალური რეპორტაჟი „ბრძოლა მორალის გარეშე“ გავიდა, რომელიც ფოკუსირებული იყო თეოლოგ გოჩა ბარნოვის განცხადებებსა და მასზე ფარული მოსმენების შედეგად გავრცელებულ მასალებზე.<sup>76</sup> სიუჟეტის მიხედვით, საპატრიარქოსთან დაპირსპირებული გოჩა ბარნოვი დაკავშირებულია ევროპული საქართველოს ლიდერებთან - გიგი უგულავასთან და გიგა ბოკერიასთან. სიუჟეტში აღნიშნული იყო, თუ როგორ მოუწოდებდა გოჩა ბარნოვი თავის სტუდენტებს, ხმა მიეცათ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისთვის. ამავე ჩანაწერების მიხედვით, გოჩა ბარნოვს კომუნიკაცია ჰქონდა მიხეილ სააკაშვილთან და მოქმედებდა გეგმით, რომლის მიზანიც მთავრობის შეცვლა და ილია მეორეს გადაყენება იყო. იგეგმებოდა ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციაც. „იმედის კვირაში“ გასული სიუჟეტიდან ვლინდება, რომ ჩანაწერების ავთენტურობას არ ადასტურებს დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, თუმცა გოჩა ბარნოვთან დაკავშირებული ფაილების ნამდვილობას არ გამორიცხავს.

საქართველოს პატრიარქმა სუს-ის მასალები ორი კვირის დაგვიანებით, 29 სექტემბერს შეაფასა. განცხადების ძირითადმა ნაწილმა გაიმეორა სასულიერო პირების რიტორიკა. პატრიარქმაც, სხვა მღვდელმთავრების მსგავსად, „სუს-ის მასალებში“ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მედიის მუშაობა დაინახა და ცალკეულ ტელევიზიებს მასალების გავრცელების გამო ორმაგ სტანდარტებში დასდო ბრალი. პატრიარქის შეფასებით, „იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად ხდებოდა მღვდელმსახურთა უკანონო თვალთვალი და მოსმენები“, აღნიშნული ქმედება საფრთხეს უქმნის მღვდლისა და მრევლის კომუნიკაციას და მკაცრად უნდა დაისაჯონ როგორც უკანონო თვალთვალისთვის, ასევე, მასალის გავრცელებისთვის.<sup>77</sup>

## 4. მონიტორინგის ძირითადი მიზნები

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მმართველი პოლიტიკური ძალა და საქართველოს საპატრიარქო, რომელიც მაღალი რანგის სასულიერო პირებითაა წარმოდგენილი, მჭიდროდ თანამშრომლობენ, რაც რამდენიმე ფორმაში გამოიხატება:

- სასულიერო პირების საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე დასწრება - 2021 წლის 11 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით, მაღალი იერარქიის სასულიერო პირები სახელისუფლებო პარტიის მიერ საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/ თვითმმართველი მერის კანდიდატთა წარდგენის ყველა ღონისძიებას დაესწრნენ
- მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათს იღებს ეკლესია-მონასტრების სასულიერო პირებთან ერთად

<sup>76</sup> „იმედის კვირა“, ტელეკომპანია იმედის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, 26.09.2021, [https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch\\_permalink&v=2938179319731026](https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=2938179319731026), [ბოლოს ნანახია: 28.09.2021].

<sup>77</sup> საქართველოს საპატრიარქოს განცხადება, 29.09.2021, ხელმისაწვდომია <https://patriarchate.ge/news/2837>, [ბოლოს ნანახია: 10.11.2021].

„მოლოცვა.“ წინასაარჩევნო კამპანიის დროს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, 10 ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი დაათვალიერა და „მოილოცა.“ მათი ნაწილი ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით ხორციელდება, რაც ყველა შემთხვევაში აღინიშნა

- მაღალი იერარქიის წარმომადგენელი ღვთისმსახურები ცდილობენ ოპოზიციის დისკრედიტაციას ან/და ღიად და დაუფარავად უცხადებენ მხარდაჭერას სახელისუფლებო ძალას და კანდიდატს
- მმართველი პარტიის მსგავსად, რელიგიური თემებით მანიპულირებას ცდილობენ პოლიტიკური სუბიექტების ლიდერები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“, „ლელოდან“ და პარტიიდან „გახარია საქართველოსთვის.“ თუმცა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სასულიერო პირები ღიად არ ესწრებიან მათ საარჩევნო ღონისძიებებს
- საქართველოს საპატრიარქოს „სუს-ის ფაილებთან“ დაკავშირებით „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ღიად არ გაუკრიტიკებია. თავდასხმის ობიექტები გახდნენ არა უშუალოდ თვალთვალის განმახორციელებლები, არამედ „ფაილების გამავრცელებლები“, მათ შორის, კრიტიკული მედია საშუალებები და მათი მესაკუთრეები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან რელიგიური ორგანიზაციებისა და კონკრეტულ სასულიერო პირთა გავლენების გამოყენების მცდელობა წარმოადგენს მანკიერ პრაქტიკას და უარყოფითად აისახება არჩევნების შედეგებზე. ზემოთ აღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ დომინანტური ეკლესიის ავტორიტეტის და კონკრეტულ სასულიერო პირთა ინსტრუმენტად გამოყენებით, პარტია „ქართული ოცნება“ ამომრჩევლის ნაწილის მიმხრობას ცდილობს, რაც აფერხებს ჯანსაღ კონკურენციას და საფრთხეს უქმნის არჩევნების კონსტიტუციით გათვალისწინებული საარჩევნო პრინციპების დაცვით ჩატარებას.